პროლეტარიანო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОММУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 16 იანვარი, 1943 წ. № 13 (6638). ფასი 20 კაპ.

პარტორგანიზაციების ზრუნვა ახალ მუშებზე

სამამულო ომის დღეებში საქართველოს საწარმო-დაწესებულებებში და ტრანსპორტზე მოვიდნენ ათასობით ახალი მუშები. მათი უმრავლესობა ქალები და ახალგაზრდობაა. ისინი პატრიოტული ენტუზიაზმით ეუფლებიან წარმოების ტექნიკას, სწავლობენ პროფესიას. მრავალი მათგანი ომის დროის სტახანოველი — ორასოვანი, სამასოვანი, ხუთასოვანი გახდა და ფრონტული თავდადებით შუშაობს ჩვენი გამარჯვებისათვის. მაგრამ ახალ მუშათა შორის მოიპოვებიან ისეთებიც, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ გამომუშავებული შესაფერი საწარმოო ჩვევები და საჭიროებენ ყოველმხრივ დახმარებას. ამ მხრივ დიდ მუშაობას ატარებენ საწარმო-დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები.

ამხანაგი **სტალინი** გვასწავლის: „საშეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-საორგანიზაციო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე". საწარმოებში, სადაც პარტიულ-საორგანიზაციო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კარგად არის დაყენებული, ახალი მუშების პოლიტიკური აღზრდის საქმეც მოგვარებულია და, როგორც წესი, გეგმების შესრულებაც წარმატებით მიმდინარეობს.

თბილისის 5 ქარხნის პარტორგანიზაციამ, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად, ყველა საამქროში მოაწყო ახალი მუშების ინდივიდუალური და კოლექტიური სწავლება, ტექმინიმუმის გავლა, სტახანოვური სკოლები, ჩატარდა ახალი მუშების თათბირები. ასეთი მუშაობის შედეგად გასული წლის მარტო უკანასკნელ კვარტალში 200-ზე მეტმა ახალმა მუშამ შეისწავლა სპეციალობა და ამჟამად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქარხანაში. ახალი მუშების ტ. ჟუჟუნაშვილის, ო. ბეშტაევის, სკიბის, გ. ჯაბუას და დ. ელეცოვის საწარმოო წარმატებებით მთელი ქარხნის კოლექტივი ამაყობს. ეს ამხანაგები გეგმებს 200-300 პროცენტით ასრულებენ და სხვა ახალ მუშებთან ერთად აქტიურად არიან ჩაბმულნი სოზოგადოებრივ მუშაობაშიც. პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველმხრივ ეხმარებიან ახალ მუშებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა მასებში დაეხმარა ქარხნის კოლექტივს, რომელმაც გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მილიონნახევარი მანეთის პროდუქცია მისცა.

ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატში 71 ახალი მუშაა. დირექციისა და პარტორგანიზაციის მზრუნველობით, გამოცდილი ოსტატების დახმარებით მათ წარმატებით დაამთავრეს სწავლა ტექნიკურ წრეებში, დაეუფლნენ სპეციალობებს, ამჟამად დამოუკიდებლად მუშაობენ და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ასეთები არიან: ნ. ახალაძე, ზ. სმოლკინა, ლ. კიკვიძე, შ. ვარდოსანიძე და სხვ. სტახანოველი ლ. კიკვიძე აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაშიც. იგი საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად არის მიღებული.

გორის საკოსერვო ქარხნის პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. ლ. მაკრახიძე) სათანადო ყურადღებას უთმობს ახალი მუშების პოლიტიკური აღზრდისა და საწარმოო სწავლების საქმეს, მართავს მათთან ინდივიდუალურ საუბრებს, განუმარტავს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ჩვენს ამოცანებს, შრომის პირობებს, არკვევს ახალმოსულთა საჭიროებებს და ეხმარება მათ პროფესიის შესწავლაში.

მაგრამ ჯერ კიდევ მოიპოვება ისეთი საწარმო, რომლის სამეურნეო ხელმძღვანელობა და პარტორგანიზაცია არასაკმოდ ზრუნავენ მუშათა ახალი კადრების მომზადებაზე. ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში მუშების ძირითადი ნახევარი სამამულო ომის დღეებში მოვიდა საწარმოში. მაგრამ ფაბრიკის დირექციამ და პარტორგანიზაციამ ახალი მუშების მიერ ტექმინიმუმის გავლა უყურადღებოდ დასტოვეს. როდესაც ამის შესახებ მათ მოაგონეს, დირექციამ ამისათვის შეუფერებელი დრო დანიშნა — სადილისათვის შესვენების წუთები, ის დრო, როდესაც საამქროებში აგიტსაუბრები უნდა სწარმოებდეს, და პარტორგანიზაცია ამას დათანხმდა.

თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის პარტორგანიზაცია ახალ მუშებთან სუსტად მუშაობს. აქ სპეციალური თათბირები და აგიტსაუბრები არ ტარდება ახალ მუშებთან; ზოგიერთი აგიტატორი თავის მოვალეობას სათანადო პასუხისმგებლობით ვერ ეკიდება. ჩულქების საამქროს უფროსმა — აგიტატორმა ზაქარეიშვილმა განაცხადა: „ახალი მუშები ძალიან ბევრია, სად მოვასწრებ თითოეულს ახსნა-განმარტება მივცეო".

ომის ვითარებაში ახალი მუშების პოლიტიკური აღზრდა და საწარმოო სწავლება პარტორგანიზაციების საქმიანობის სერიოზული უბანია. პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით ახალი მუშების პოლიტიკური აღზრდა ისე უნდა წარიმართოს, რომ მუშა სწრაფად შეეჩვიოს წარმოებას, დაეუფლოს სპეციალობას, შეიყვაროს იგი. თითოეულ ახალმოსულს უნდა განემარტოს ომის ვითარებაში მნიშვნელობა იმ წარმოებისა, რომელშიც იგი მუშაობს. აგიტატორებმა უნდა აუხსნან მათ, რომ ომის ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა შრომის რკინისებური დისციპლინა, საწარმოო ტექნიკის სწრაფი დაუფლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და მომჭირნეობისათვის ბრძოლა. უნდა ეწყობოდეს თათბირები და შეხვედრა კვალიფიციურ მუშებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის, ინდივიდუალური საუბრების ჩატარება და, სადაც შესაძლებელია, სპეციალური აგიტატორების გამოყოფა ახალ მუშებთან სამუშაოდ.

მაგრამ პარტორგანიზაციის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა ახალ მუშებთან ამით არ ამოიწურება. ზრუნვა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებზე, სასადილოზე, საერთო ბინებზე და სხვ. პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობის საგანი უნდა გახდეს, რადგან საყოფაცხოვრებო პირობებს პირდაპირი კავშირი აქვს მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. პარტიულმა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა წარმოებაში „ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ახალმა ადამიანებმა ქარხანაში შეიყვარონ თავიანთი სამუშაო, რაც შეიძლება სწრაფად აითვისონ თავიანთი პროფესია და აიმაღლონ „კვალიფიკაცია" (მ. კალინინი).

დიდი **სტალინის** საოქტომბრო მოხსენებით და სამამულო ომის ფრონტებზე გმირი წითელი არმიის წარმატებებით აღფრთოვანებულმა ჩვენი ქვეყნის ზურგის მუშაკებმა ახალი ძალით გააჩაღეს დიადი სოციალისტური შეჯიბრება წითელი არმიის 25 წლისთავის შესახვედრად. სოციალისტურ შეჯიბრებაში სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმებიან ახალი მუშები. პარტორგანიზაციების ამოცანაა ხელი შეუწყონ ახალ მუშებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში და აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში, რომელიც ერთ მიზანს ემსახურება — გაძლიეროს ფრონტისადმი დახმარება, დააჩქაროს ვერაგი მტრის — ჰიტლერელი არამზადების სრული განადგურება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების გადადების შესახებ

გადაიდოს 1943 წლის დეკემბრამდე საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები და ამავე ვადით განგრძობილ იქნას ამ საბჭოების უფლებამოსილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ლეონიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

თბილისი, 1943 წ. 15 იანვარი.

ავაგოთ საგანგებო კოლონა „ქართველი კოლმეურნე"

გრაქტორისტები აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას

თელავი (ტელეგრაფით). თელავის მტს-ის მუშაკები წარმატებით აწარმოებენ სახსრების შეგროვებას სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" მშენებლობისათვის. ტრაქტორისტებს შორის შეგროვებულია 41.000 მანეთი. შრომის აღრიცხველმა ივანე სიმონის-ძე ჯიბუტმა ტანკების ასაგებად შეიტანა 14.000 მანეთი, ბრიგადირმა თედო ივანეს-ძე კაკაშვილმა—8.400 მანეთი, კომბაინერმა მიტო პავლეს-ძე გიგოლაშვილმა 800 მანეთი.

თელავის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი **ლ. უარსაბოძე**

ნორჩი პაგრიოტების წვლილი

ზუგდიდი (ტელეგრაფით). სოფ. ორსანტიის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ მიშა ბესარიონის-ძე პერტაიამ ტანკების მშენებლობის ფონდში 17.000 მანეთი შეიტანა. ეს თანხა მან კოლმეურნეობაში გამოიმუშავა. ახალსოფლის არასრული საშუალო სკოლის მეექვსე კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ, პიონერმა თალიკო ანდრიას-ასულმა მაქაცარიამ გაიღო 12.000 მანეთი. სულ ზუგდიდის რაიონის პიონერებმა შეაგროვეს 200.000 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

ხ. ბერულავა

ზუგდიდის რაიონულ გაზეთ „მებრძოლის" რედაქცია.

საბრძოლო მანქანების ასაგებად

ხარაგოული (ტელეგრაფით). ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირელებმა სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში 12 იანვრისათვის შეიტანეს 65.000 მანეთი.

სოფ. ბორითის საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ უშანგი ვლადიმერის-ძე ბარბაქაძემ შეიტანა 12.000 მანეთი. ეს თანხა მან გამოიმუშავა ბორითის კოლმეურნეობაში მუშაობით. საზაფხულო არდადეგების დროს მან გამოიმუშავა 140 შრომადღე.

რაიონის კომკავშირელები განაგრძობენ სახსრების შეგროვებას საბრძოლო მანქანების ასაგებად.

დ. მაისურაძე

ორჯონიკიძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით" რედაქტორი.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

კალინინის ფრონტის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა წითელი არმიის საჰაერავლის ასაგებად შეიტანეს 32.115.011 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება, როგორც ჩვენი სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების და თქვენდამი, ამხანაგო სტალინ, უსაზღვრო სიყვარულის მძლავრი დემონსტრაცია. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი წინამძღოლობით გავანადგურებთ მტერს, ჩვენი წმიდა მიწა-წყალი გაიწმინდება გერმანელ დამპყრობთაგან.

გისურვებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

კალინინის ფრონტის ჯარების სარდალი
გენერალ-პოლკოვნიკი **პურკაევი.**

კალინინის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი
გენერალ-ლეიტენანტი **ლეონოვი.**

კალინინის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსი
გენერალ-მაიორი **დრეგედნევი.**

კალინინის ფრონტი

კალინინის ფრონტის ჯარების სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. პურკაევს
კალინინის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ლეონოვს
კალინინის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსს გენერალ-მაიორ ამხ. დრეგედნევს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა კალინინის ფრონტის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 32.115.011 მანეთი შეაგროვეს წითელი არმიისათვის საჰაერავლის ასაგებად.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მე-16 საჰაერო არმიის მფრინავი-გამანადგურებლები, მოიერიშეები და ბომბდამშენები, იბრძვიან რა კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ, დაეხმარნენ ჩვენს სახმელეთო არმიებს განეხორციელებინათ თქვენი ბრძნული გეგმა სტალინგრადთან გერმანელთა რჩეული დივიზიების გარშემორტყმისა. არმიის პირადმა შემადგენლობამ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა წითელი არმიის სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში და ნაღდ ფულად შეიტანა 2.200.000 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

გთხოვთ ამ თანხით აგებულ იქნას სტალინგრადის დამცველთა სახელობის ავიაგამანადგურებელთა პოლკი და გადმოგვეცეს თვითმფრინავები ჩვენ, რათა ამ მრისხანე მანქანებით ვმუსროთ ფაშისტი უწმინდურები.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ სტალინური შეკვრდები თავიანთი ავიაგამანადგურებლების, მოიერიშეებისა და ბომბდამშენების დარტყმებით ხელს შეუწყობენ ამ დაჯგუფების სრული განადგურების ამოცანის განხორციელებას. მტერი მოსპობილი იქნება.

რუდენკო, ვინოგრადოვი

მე-16 საჰაერო არმია

ამხანაგებს რუდენკოს, ვინოგრადოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა მე-16 საჰაერო არმიის მამაც მფრინავებს, რომლებმაც 2.200.000 მანეთი შეაგროვეს სტალინგრადის დამცველთა სახელობის თვითმფრინავ-გამანადგურებელთა ესკადრილიის მშენებლობისათვის.

ი. სტალინი

მოსკოვი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ნ არმიის მებრძოლებმა და მეთაურებმა, რომლებიც აღგზნებული არიან წმიდა სიძულვილით მტრისადმი და აურვილით რაც შეიძლება მალე გასწმინდონ ჩვენი წმიდა სამშობლო ფაშისტი დამპყრობლებისაგან, შეავროვეს და სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 10.958.850 მანეთი სატანკო კოლონის „სამშობლოს ღირსებისათვის, წინ დასავლეთისაკენ" ასაგებად. გეფიცებით თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ მთელ ჩვენს უნარს, ძალ-ღონესა და სიცოცხლეს შევწირავთ საზიზღარი მტრის უსწრაფესი განადგურების საქმეს. ჩვენ, წითელი არმიის მეომრები, მუდამ მზად ვართ შევასრულოთ ყოველი თქვენი ბრძანება.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ჩერევიჩენკო, ივანოვი, პონომარიოვი

ნ არმია

ამხანაგებს ჩერევიჩენკოს, ივანოვს, პონომარიოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ნ არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებმაც 10.958.850 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „სამშობლოს ღირსებისათვის, წინ დასავლეთისაკენ" ასაგებად.

ი. სტალინი

შვარდიის სერჟანტ რ. ზ. ჩხაიძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გვარდიის სერჟანტი რევაზ ტარასის-ძე ჩხაიძე, რომელიც ამჟამად შორმოქმედ ავიაციაში იმყოფება, დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის" ორდენით.

ვ. ყარა-მურზა

ლენინის დღეებისათვის

ლენინის რაიონი

რაიონის საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ გაიშალა სამზადისი ლენინის დღეებისათვის. კვალიფიციური მომხსენებლების მიერ 18 იანვრიდან 22 იანვრამდე ჩატარდება მოხსენებანი **ლენინის** ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. აგიტატორების მორიგი საუბრებიც ამავე საკითხს მიეძღვნება. საორთქლმავლო დეპოში უკვე ჩატარდა აგიტატორთა თათბირი. მათ განიმარტათ, თუ როგორ უნდა მოაწყონ საუბრები ლენინის დღეებთან დაკავშირებით.

რკინიგზის კვანძის, სადგურის და რაიონის საწარმოებში მოეწყობა ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები. ასევი გამოფენა უკვე მოეწყო საორთქლმავლო დეპოს აგიტპუნქტსა და რაიონულ აგიტპუნქტში. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ჩატარდა აგიტატორთა თათბირი, მოეწყო აგრეთვე სპეციალური ვიტრინა.

რაიონის ყველა აგიტპუნქტში დაწესებულია კონსულტანტთა მორიგეობა მომხსენებლებთათვის განმარტების მისაცემად.

ამ დღეებში რაიონის საწარმოთა მუშები დაათვალიერებენ ლენინის მუზეუმს.

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ყველა საამქრო

იმ ქარხნის კოლექტივმა, სადაც დირექტორად ამხ. მეტრეველია, გასული წლის საწარმოო პროგრამა ვადაზე შეასრულა, 172,2 პროცენტით გაანაღდა დეკემბრის დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში.

ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურენი ახალი წლის პირველი დღიდანვე ახალი ძალით შეუდგნენ მუშაობას. ამას ხელს უწყობს მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის კოლექტივის მოწოდების პასუხად ფართოდ გაშლილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ჩაბმულია ქარხნის ყველა საამქრო. ამჟამად მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა დადება ცალკეულ მუშებს შორის.

საინსტრუმენტო საამქროს კოლექტივმა, რომელმაც სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სიარაღო საამქრო, მოლოტოველთა მოწოდების პასუხად იკისრა იანვრის გეგმა შეასრულოს 102 პროცენტით, ხოლო თებერვლისა—23 თებერვლისათვის. მათ აიღეს ვალდებულება მომჭირნეობით ხარჯონ ნედლეული, სათბობი და ელექტროენერგია. კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ქარხნის დანარჩენმა საამქროებმა.

ქარხნის მთელი კოლექტივი თავდადებით იბრძვის, რათა ღირსეულად შეხვდეს გმირი წითელი არმიის სახელოვან XXV წლისთავს.

ვ. ზურაბიშვილი

პირველ აღგილზე დეკემბრის მაჩვენებლებით

ზესტაფონი („კომუნისტის" საქ. კორ.). ზესტაფონელმა რკინიგზელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება წითელი არმიის XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. რკინიგზის სადგურის კოლექტივმა (უფროსი ამხ. ვ. მეტრეველი) დეკემბრის მაჩვენებლებით პირველი ადგილი მოიპოვა ლ. პ. ბერიას, სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე და მიიღო გარდამავალი დროშა.

მეომრის თავდადებით მუშაობს დავით ჭანკვეტაძის ცვლა. იგი გზის უფროსმა რამდენჯერმე დაჯილდოვა. ამ ცვლაში უწუნოდ და უთავაროდ მუშაობენ მეისრეები გოცაძე, დუგლაძე, კვესიტაძე, ლომსაძე, შემდგენლები ცერცვაძე, მაჭავარიანი, ფორჩხიძე. ისინი სტახანოვურად მუშაობენ და მაქსიმალურად იყენებენ ადგილობრივ რესურსებს.

პ. ბიოკაძე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 იანვრის დილის ცნობა

14 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები **დონის** ქვემოწელის, რაიონში, ცენტრალურ ფრონტზე და **ჩრდილოეთ კავკასიაში** განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სტალინგრადის საჭარხნო რაიონში ჩვენი მოიერიშე რაზმები მიერეკებოდნენ გერმანელებს სიმაგრეებიდან და სახლებიდან. 5 ნაწილის მებრძოლებმა დაანგრიეს 56 ძელმიწური საცეცხლე წერტი და მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ქუჩა. ხელთ ვიგდეთ 5 ქვემეხი, 4 ნაღმსატყორცნი, 20 ტყვიამფრქვევი, 150 შაშხანა და საომარი მასალები. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

დონის ქვემოწელის რაიონში ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, იგერიებდნენ რა მის კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდმა ძალებმა კონტრიერიშში მოიტანეს. საბჭოთა ჯარები გაუმკლავდნენ ჰიტლერელთა მოძალებას, შემდეგ კი კონტრდარტყმით უკუაგდეს ისინი პირვანდელ პოზიციებზე. მოსპობილია 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია მტრის 19 ტანკი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა განდევნეს მოწინააღმდეგე ძლიერ გამაგრებული სახლებული პუნქტიდან და ხელთ იგდეს ჯავშნიანი მანქანა, 4 ქვემეხი, 6 ნაღმსატყორცნი, საომარი მასალების საწყობი და რადიოსადგური.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე, ველიკიე ლუკის სამხრეთ-დასავლეთით, გერმანელთა ორმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა და მეავტომატეთა რაზმმა ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანების დახმარებით იერიში მოიტანეს 6 ნაწილის პოზიციებზე. გააფთრებული ბრძოლის შედეგად ჰიტლერელები უკუგდებულ იქნენ პირვანდელ პოზიციებზე. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი ვგამი და გერმანელთა 8 დაზიანებული ტანკი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია 250 ტყვე.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 4 გერმანელი ბანდიტი შეეცადნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების წინსვლა და მთელი რიგი კონტრიერიშებს ეწეოდა. ცალკეულ სექტორებში მოგვიანებლად, ადასთან ტერ დიდ ზარალი მიეცა. [illegible] ... ბანდიტებმა ... ნაწილის უბანზე მოსპობილია გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი, დაზიანებული და დამწვარია 4 ტანკი და 7 ავტომანქანა. ჩვენი არტილერიის ცეცხლით აფეთქებულია მოწინააღმდეგის საომარი მასალების ორი საწყობი.

* * *

კურსკის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანები იანვრის დამდეგს თავს დაესხნენ მოწინააღმდეგს მიერ დაკავებულ რკინიგზის სადგურს და დახოცეს 95 ჰიტლერელი. საბჭოთა პატრიოტებმა აიფეთქეს სადგურის მოწყობილობა, ტელეფონ-ტელეგრაფის ქვანძი, ქვანახშირით დატვირთული 18 ვაგონი და 1 საწყობი საომარ მასალიანად. პარტიზანებმა აჰყარეს ორლიანდაგიანი რკინიგზის 600 მეტრი ვაკისი. მატარებელთა მოძრაობა ამ უბანზე რამდენიმე დღე-ღამეს იყო შეწყვეტილი.

როსტოვის ოლქის გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში დახოცა 40-ზე მეტი ჰიტლერელი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 5 ტყვიამფრქვევი, 100-ზე მეტი შაშხანა და დიდძალი საომარი მასალა.

* * *

როსტოვის ოლქის ამჟამად განთავისუფლებულ სოფელ ზაეტნოეს მეცხოვრებმა ილაპარაკეს გერმანელი ფაშისტი არამზადების საშინელ ბოროტმოქმედებებზე. სექტემბრის დამლევს სოფელს თავს დაესხა „სს"-ელ ავაზაკთა რაზმი. ჰიტლერელები დღისითა და ღამით ნადირობდნენ სხვა ოლქებიდან ევაკუირებულ საბჭოთა მოქალაქეებზე, აგრეთვე კოლმეურნე აქტივისტებსა და მათი ოჯახის წევრებზე. ბანდიტებს მთელი ოჯახები ავტომანქანით მიჰყავდათ სოფლის იქით მდებარე ხრამში და იქ, ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ, ჰკლავდნენ მათ. გერმანელები გვიკრძალავდნენ დახოცილთა გვამების აკრეფასა და დასაფლავებას. წინასწარი ცნობებით, ჰიტლერელებმა 300-მდე მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე მოჰკლეს.

15 იანვრის საღამოს ცნობა

15 იანვარს ჩვენი ჯარები **ჩრდილოეთ კავკასიაში** განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **ბლაგოდარნოე**, ქალაქი **ალექსანდროვსკოე**, რაიონული ცენტრი **სოლუნო-დმიტრიევსკოე**, დიდი დასახლებული პუნქტები — **სადოვოე, ნაგუტსკოე, ბეკეშევსკაია** და რკინიგზის სადგური **ნაგუტსკაია.**

ჩრდილოეთ დონეცის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი **ლიტვინოვკა**, დიდი დასახლებული პუნქტები — **გრუკინოვი, სამბუროვი, დიადინი, პოცელუევი, ბოროდინოვი, ეროფეევკა** და რკინიგზის სადგური **გლუბოკაია.**

ზიმოვნიკის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი **ორლოვკაია**, დიდი დასახლებული პუნქტები — **ბატალევსკაია, მოსკოვსკი, ტატინკოვი, რიასკა, დენისოვსკი, ნოვაია ნადეჟდა, ატამანოვსკი, გრეკოვი, კრასნოე ზნამია, ლუგანსკი, ბისტრიანსკი, პოტიომკინსკი, კუნგრიაჩინსკი** და რკინიგზის სადგურები — **დვოინაია, კურიოზნნი.**

* * *

14 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს მოწინააღმდეგის 60 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 7 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, დაამტვრიეს 1 სარკინიგზო შემადგენლობა, ააფეთქეს საომარი მასალების 3 საწყობი და საწვავის 1 საწყობი, გაჩეხეს ტყე და ნაწილობრივ მოსპეს ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის საჭარხნო რაიონში ჩვენმა მოიერიშე რაზმებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები და წინ წაიწიეს 600 მეტრით. ჰიტლერელებისაგან გაწმენდილია კიდევ რამდენიმე ქუჩა. მოსპობილია 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 100-ზე მეტი საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, დაზიანებულია გერმანელთა რამდენიმე ტანკი.

ჩვენმა მფრინავებმა აეროდრომებზე მოსპეს მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი და საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს 3 თვითმფრინავი.

* * *

დონის ქვემოწელის რაიონში ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ შეტევას. განვლილ დღეს 5 ნაწილის მებრძოლებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან. მოწინააღმდეგესთან გააფთრებულ ბრძოლებში მოსპობილია 400-ზე მეტი ჰიტლერელი, წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია ლაფა. სხვა უბანზე გერმანელებმა სცადეს დაებრუნებინათ წინადადით დაკარგული ხელსაყრელი ზღუდე. მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიშები მოგერიებულ იქნა, ამასთან მას დიდი ზარალი მოუვიდა.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე, ველიკიე ლუკის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას. ტყვედ წამოყვანილია 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ნაწილმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. პროსტიაკოვი, უკანასკნელ ბრძოლებში დახოცა გერმანელთა 1 ბატალიონი ქვეითი ჯარი და მოსპო 9 ტანკი. სხვა უბანზე უფროსს ლეიტენანტ გორდიენკოს მეთაურობით მოქმედი ქვეგანაყოფის მებრძოლნი იცავდნენ გზატეხილს ორ დიდ დასახლებულ პუნქტს შუა. გერმანელ მეავტომატეთა რაზმი 10 ტანკის საფარქვეშ შეეცადა დაეკავებინა ეს გზა. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს მტრის 2 ტანკი და რამდენიმე ათეული ჯარისკაცი. მეორე დღეს ჰიტლერელებმა განაახლეს იერიში, მაგრამ, დაჰკარგეს რა 4 ტანკი და ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მტრის ექვსსავე ტანკს ცეცხლი წაეკიდა სერჟანტმა ამხ. ნიკიტინმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ჯარები, აჭსხვრევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ წარმატებით, შეტევას. საბჭოთა მოძრავი რაზმები აღწევენ მტრის ჯარების ღრმა ზურგში და ანგრევენ მათს კომუნიკაციებს. 5 შენაერთის ნაწილებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და 1 სარკინიგზო სადგური. ჰიტლერელთა ყველა ცდა, რომ ერთ-ერთ უბანზე შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების წინსვლა, მოწინააღმდეგის განადგურებით დამთავრდა. მოსპობილია 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 7 ტანკი, 10 ქვემეხი და 12 ჯავშანტრანსპორტიორი. აფეთქებულია საომარი მასალების 5 საწყობი. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს: 36 ტანკი, 1.200 ავტომანქანა და გარდა ამისა 3 სარკინიგზო ეშელონი ავტომანქანებიანად, 5 ეშელონი ტანისამოსიანად და სურსათიანად, 1 ეშელონი პირუტყვიანად, 10 ორთქლმავალი, 200 ვაგონი და სხვა დავლა. სხვა უბანზე ჩვენი მოწინავე რაზმები დიდ დასახლებულ პუნქტთან გავიდნენ და გააჩაღ

მეთაურთა, საინჟინრო მეთაურთა შემადგენლობისა და საინტენდანტო სამსახურის მეთაურთა შემადგენლობის სამხრეები



უმცროს მეთაურთა, მეუფროსეთა, რიგითი შემადგენლობის და სამხედრო სასწავლებელთა კურსანტების სამხრეები



„უდანამაღალი დამნამაღენი“

გორის სახელმწიფო თეატრში

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] „ოტრადინა“ [illegible] „ოტრადინა-კრუჩინინას“ [illegible] „ოტრადინა-კრუჩინინამ“ [illegible] დას ხედავდნენ. გორის თეატრმა მასში დაანახა მებრძოლი დედა, დედა ბრალმდებელი. ივი სასტიკი მხილებით „ლახვარსა“ სცემს საზოგადოებრივ უკეთურმართობას, რომლის ბანრატტრად მოსჩანს მუროვი.

მსახ. ო. გოგნიაშვილი კრუჩინინას როლში პირველი მოქმედებიდანვე, მოსიყვარულე, იდეალური პატარა დედიდან გარდაიქმნა ბრალმდებელ დედად, როგორც კი მუროვს ნიღაბი ჩამოჭშორდა. მხოლოდ მუროვის გაგდების შემდეგ დავინახავთ ოტრადინას ცრემლებს, რომლებიც მას თავისთვის ჰქონია შეინახული საკუთარ ბედთან შესაჩივლელად. შემდეგ მოქმედებაში, როდესაც ოტრადინა კრუჩინინად გარდაიქმნება, გოგნიაშვილმა უფრო მძაფრი ხაზი გაიკვლო დედასა და ბრალმდებელს შორის. ხანგრძლივი დაშორების, შემდეგ პირველი მისი შეხვედრა მუროვთან ერუანტელის მომგვრელია. მისი კრუჩინინა შვილის დაუცხრომელ ძიებაშია, მუროვს პროკურორის კილოთი მოსთხოვს, რა უყავი ჩემი შვილიო, აქაც არავითარი ცრემლი, არავითარი შებრალება. სცენაც გალჩიხასთან საუცხოოდ არის გადაჭრილი. აქ გოგნიაშვილის კრუჩინინა ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ნაძირალა და გარდაქმნილ გალჩიხაზე, რომ მის დახშულ მესსიერებაში აღადგინოს ნათელი სახე პატარა გრიშისი. აქაც ნაკლებ ხედავთ დედას. ო. გოგნიაშვილმა დედა კრუჩინინა მხოლოდ ფინალში გვაჩვენა (სცენა მედალიონით), როცა შვილის აღმოჩენისას ღონე უმტყუნებს და იგი ნეზნამოვს გულში ჩაიკრავს.

ო. გოგნიაშვილს კარგი პარტნიორი გამოუჩნდა ა. კალანდარიშვილის სახით. ფოლადისებური ხმა, სიმტკიცე, სითამამე, ახოვნება მას ღირსეულ ძალად ხდის ნეზნამოვის როლის დასაძლევად.

გ. ივერიელმა ჩინებული გალჩიხა დაგვიხატა. იგი დიდი ოსტატობით და ბუნებრივობით გვიშლიდა კრუჩინინასთან შეხვედრის დრამატიზმით აღსავსე ეპიზოდს.

სადად არის გამოკვეთილი ხაჯალიას შაგიც, უშარეოდ, ზომიერ ფარგლებში. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს ამ არტისტის შესამჩნევი ზრდა და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მრავალფეროვანი როლებისადმი, რომლებსაც იგი ასრულებს.

ს. გრიბეროვმა დამაჯერებლად გამოჰკვეთა დასამახსოვრებელი ფიგურა დუდუკინისა, ხოლო თ. ლოლაძემ — ცერცეტა და ქარაფშუტა შელაკინას სახე.

გურგენიძის კორინკინას დამუშავება ესაბუროება. მსახიობს ავიწყდება, რომ კორინკინა სულ სხვაა თეატრის კულისებში და სულ სხვა — დუდუკინის ნადიმზე და საზოგადოებაში.

ასევე დაკვირვება და გადახალისება ესაჭიროება ომიაძის მუროვს.

ლირიულ ტონებში ეფერდა სეილანოვან ანუშკა, რომელიც ერთ-ერთ საყვარელ სახედ შერჩა მაყურებელს.

საზოგადოდ ამ პიესის დადგმით გორის თეატრმა თვალსაჩინო წინსვლა გვიჩვენა.

დ. კასარაძე

ლექციები ჯ მოხსენებები

19 იანვარს, დღის 1 საათზე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სხდომაზე პროფ. შალვა ნუცუბიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ამირანი“ და ქართული მითოლოგიის პრობლემები“. დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

17 იანვარს: ხახოპრა: — დღისით — „ალი“, საღამოს — „რიგოლეტო“. **რუსთაველის სახელობის** — დღისით — „სპატარძლო აფშინთ“, საღამოს — „სამშობლო“. **მარჯანიშვილის სახელობის** — დღისით — „მეფე ერეკლე“, საღამოს — „ხანუმა“. **გრიბოედოვის სახელობის** — დღისით და საღამოს — „ავყიაობის სკოლა“.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „კონცერტი ფრონტისათვის“, **ოქტომბერი** — „სევანელი მეთევზეები“, **დამკვრელი** — „კუზიანი კვიცი“, **კომკავშირელი** — „ანტონ ივანოვიჩ ჯავროს“.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმი

აწარმოებს 10-თვიან კურსებზე შემსვლელთა განცხადებების მიღებას.

კურსები ამზადებს კავშირგაბმულობის მეორე ხარისხის კვალიფიკაციის ტექნიკოსებს რადიოტელეგრაფის და ტელეფონის განხრით.

კურსებზე მიიღებიან მე-9 და მე-10 კლასის მოწაფეები უგამოცდოდ. უპირატესობა მიეცემათ საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა და რადიომოყვარულთ. კურსებზე მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით — თვეში 120 მანეთით, სასადილოთი და საერთო საცხოვრებლით. სწავლა დაიწყება 1 თებერვალს. კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი.

ყოველგვარი ცნობების გაცემა და განცხადებების მიღება სწარმოებს ტექნიკუმის შენობაში: რუსთაველის პროსპ. № 43, ყოველდღე გარდა გამოსასვლელი დღისა, დილის 9-საათიდან სალამოს 6 საათამდე. ტელეფონი: 3—18—41, 3—23—04.

328 **ტექნიკუმის დირექცია**

საქ. სსრ სპეცფაბრიკის თანამშრომლები იუწყებიან

საშა (იოსე) სამსონის-ასულ მელაძის

გარდაცვალებას, დაკრძალვა 17/I, სოფ. ეწერში (აბაშის რაიონი). 95

თბილისის ქალაქის სადგურის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან, რომ 17/I, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

მარგო და ოლრა ბერიძეების

სამოქალაქო პანაშვიდი. 99

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის კოლექტივი იუწყება

ბრიგოლ მალხაზის-ძე ძასოხოვის

გარდაცვალებას. 98

კროვის სახელობის საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრა იუწყება

ჯუმბერ ალშიბაიას

გარდაცვალებას, გამოსვენება 17/I, 2 ს. კალინინის ქ. № 37, დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 104

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან დავით ნაცვლიშვილის დიდშვილის

თინა ჟუთათელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/I, ქ. ჭიათურაში, გამოსვენება შაუმიანის ქ. № 9. 113

თბილისის რაიონის იურიდიული კონსულტაცია იუწყება პატარა

ჯუმბერ ალშიბაიას

გარდაცვალებას. 109

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია და პარტიული კომიტეტი იუწყებიან

მელიტონ პავლეს-ძე ტალიკაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/I, 5½ ს. ყორესის ქ. № 33. დაკრძალვა 17/I, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დირექცია, პარტიული კომიტეტი და ქარხკომი იუწყებიან

გიორგი სტეფანეს-ძე ყაზაზიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/I, 2 ს. გამოსვენება რკინიგზის ქ. № 6. 116

თბილისის 53-ე საბავშვო ბაღის კოლექტივი იუწყება, რომ 17/I, 3 საათზე, ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია

ირაკლი ვიქტორის-ძე ზერასაბიას

სამოქალაქო პანაშვიდი.

თბილისის ქალაქის სადგურის კოლექტივი იუწყება

ილიკო ჭანიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/I, 7 ს. მარის ქ. № 27. გამოსვენება 17/I, 4 ს. 115

თბილისის მაკარონის I ქარხნის კოლექტივი იუწყება, რომ 16/I, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

მიშა (კუკუშა) სერგოს-ძე ჩირგაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 108

უახლოესი მეგობრები გრ. ქრისტესაშვილი, ნ. მანჯგალაძე, ალ. ბოკუჩავა და გრ. შავიშვილი იუწყებიან

მოსე ვლადიმერის-ძე ჯაბუტაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/I, სოფ. ძიმითში (მახარაძის რაიონი). 110

გ. ალექსანდროვი

ლენინი—ჩვენი სამშობლოს დიდი პატრიოტი

ახლოვდება ჩვენი დიდი მასწავლებლისა და ბელადის—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების XIX წლისთავი. ჩვენი ხალხის მიერ, ჩვენი სახელოვანი პარტიის მიერ ულენინოდ განვლილი მთელი გზა გასხივოსნებული იყო ვლადიმერ ილიას-ძის უჭკნობი იდეებით. მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი მოვლენებით გაჟღენთილი ამ 19 წლის ყოველ პერიოდში პარტია, ჩვენი ხალხი თავიანთ თვალს მუდამ აპყრობდნენ იმ ადამიანს, რომელმაც ამხანაგ სტალინთან ერთად შეჰქმნა ჩვენი დიდი პარტია, ჩვენი ქვეყნის ხალხები მიიყვანა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებამდე და ხალხებისა და სახელმწიფოთა ცხოვრების ისტორიაში პირველად შეადგინა ახალი ცხოვრების საფუძველთა შექმნის დიდებული გეგმა. და ყოველთვის, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს წინაშე, საბჭოთა ადამიანების წინაშე აღიმართებოდნენ ახალი ძნელი ამოცანები, როდესაც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნებოდა რაღაცა მდგომარეობა, ჩვენ მუდამ მივმართავდით ჩვენ- მასწავლებლის გენიას და ვპოულობდით პასუხს ცხოვრების მიერ ახლადდასმულ საკითხებზე. ამხანაგი სტალინი ეუბნებოდა ჩვენს ხალხს:

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ლენინი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი. იბრძოლეთ და ამარცხეთ შინაური და გარეშე მტრები ილიჩისებურად.

ამენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა ილიჩისებურად.

ნუ იტყვით უარს მცირეზე მუშაობაში, ვინაიდან მცირისაგან შენდება დიდი,—ამაში მდგომარეობს ილიჩის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანდერძი“.

და ყველა ამ წლებში, ნგრევის, ომის შედეგთა დაძლევის წლებში, მძლავრი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შექმნის წლებში, დიდ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ საბჭოთა კავშირის გადაქცევის წლებში, ჩვენი ხალხი წმიდად ასრულებდა ამხანაგ სტალინის ამ მითითებას, აშენებდა რა თავის ცხოვრებას ილიჩისებურად და აწყობდა რა ბრძოლას ჩვენი ხალხის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ ისე, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გვასწავლიდა მტრებთან ბრძოლას.

ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი ყველაფერში მისდევენ ჩვენი მასწავლებლის ანდერძს, და ამაშია ჩვენი დიდი პარტია, ჩვენი ქვეყნის ხალხები მიიყვანა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებამდე და ხალხებისა და სახელმწიფოთა ცხოვრების ისტორიაში პირველად შეადგინა ახალი ცხოვრების საფუძველთა შექმნის დიდებული გეგმა. და ყოველთვის, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს წინაშე, საბჭოთა ადამიანების წინაშე აღიმართებოდნენ ახალი ძნელი ამოცანები, როდესაც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნებოდა რაღაცა მდგომარეობა, ჩვენ მუდამ მივმართავდით ჩვენ- მასწავლებლის გენიას და ვპოულობდით პასუხს ცხოვრების მიერ ახლადდასმულ საკითხებზე. ამხანაგი სტალინი ეუბნებოდა ჩვენს ხალხს:

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ლენინი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი. იბრძოლეთ და ამარცხეთ შინაური და გარეშე მტრები ილიჩისებურად.

ამენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა ილიჩისებურად.

ნუ იტყვით უარს მცირეზე მუშაობაში, ვინაიდან მცირისაგან შენდება დიდი,—ამაში მდგომარეობს ილიჩის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანდერძი“.

და ყველა ამ წლებში, ნგრევის, ომის შედეგთა დაძლევის წლებში, მძლავრი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შექმნის წლებში, დიდ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ საბჭოთა კავშირის გადაქცევის წლებში, ჩვენი ხალხი წმიდად ასრულებდა ამხანაგ სტალინის ამ მითითებას, აშენებდა რა თავის ცხოვრებას ილიჩისებურად და აწყობდა რა ბრძოლას ჩვენი ხალხის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ ისე, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გვასწავლიდა მტრებთან ბრძოლას.

ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი ყველაფერში მისდევენ ჩვენი მასწავლებლის ანდერძს, და ამაშია ჩვენი დიდი ძალა, აქედან ვიძენთ ჩვენ ურყევ რწმენას ჩვენი საქმის სიმართლისადმი. ლენინის იდეებში პოულობს ჩვენი პარტია თანამედროვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველაზე რთული და დახლართული საკითხების პასუხს, მათს რიცხვში ომის პერიოდის პოლიტიკის საკითხების პასუხს. ასრულებდა რა ილიჩის ანდერძს, ჩვენმა პარტიამ შეჰქმნა მძლავრი სახელმწიფო, რომელმაც გაუძლო ომის ყოველგვარ განსაცდელს და რომელსაც უნარი აქვს დაამარცხოს მტერი, რა ღონისძიებადაც, რა კოალიციებადაც, რა კავშირებადაც უნდა გაერთიანდნენ ჩვენი მტრები.

ყოველ წელს, როდესაც აღვნიშნავთ ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ჩვენგან წასვლის სამწუხარო თარიღს, ჩვენ ვიგონებთ ლენინის ნათელ სახეს, რომელიც გამარჯვებისაკენ მოგვიწოდებს. და შესაძლოა ილიჩის ხასიათსა და მსოფლმხედველობაში არ იყო იმაზე უფრო ძლიერი თვისება, ვიდრე მისი ღრმესი რწმენა ხალხის მასების ცხოველმოქმედების, შემოქმედებითი ძალისადმი, ხალხის მასებისა, რომლებსაც უნარი აქვთ მტრებისაგან დაიცვან თავიანთი სამშობლო ყოველგვარ, უაღრესად არახელსაყრელ და ძნელ პირობებში, დაიცვან თავიანთი მრავალი წლის შრომითა და სისხლით მიღწეული მონაპოვარნი. ლენინი იყო ის ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ სწამდა ჩვენი ხალხის ორგანიზატორული, შემოქმედებითი, საბრძოლო უნარი. მან გვიანდერძა გვიყვარდეს სამშობლო, დაეცვათ იგი, შეეინარჩუნოთ ჩვენი ხალხის ყველა მონაპოვარი ყოველგვარი მტრის წინააღმდეგ,—და ილიჩის ეს ანდერძი წმიდაა ჩვენთვის. ამხანაგი სტალინი არა ერთგზის აღნიშნავდა, თუ როგორ დასცინოდა და ამასთანავე ყველა ომს, ვინც ცდილობდა მედიდურად ეცქირნა მასებისათვის და მხოლოდ წიგნებით ესწავლებინა მათთვის. იგი ლაპარაკობდა ლენინის განუწყვეტელ მოწოდებაზე—„ვისწავლოთ მასებისაგან, აზრი მივცეთ მათს მოქმედებას, გულდასმით შევისწავლოთ მასების ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილება“. ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ მასების შემოქმედებითი ძალისადმი რწმენა—ეს არის სწორედ ის განსაკუთრებული თვისება ლენინის მოღვაწეობაში, რომელიც საშუალებას აძლევდა მას აზრი მიეცა სტაქიისათვის და მისი მოძრაობა ჩაეყენებინა სოციალისტური რევოლუციის კალაპოტში. ლენინი ათეული წლების მანძილზე ჩვენს ხალხს უნერგავდა ისე, როგორც არავის არ ჩაუნერგავს, სიყვარულს სამშობლოსადმი, მგზნებარე სულისკვეთებას მისი მაღალი ისტორიისათვის, მისი ტრადიციებისათვის ბრძოლისას, ყოველივე იმისათვის ბრძოლისას, რაც ჩვენი ხალხის მიერ გაკეთებულია მრავალი ასეული წლის, ადამიანთა მრავალი თაობის მანძილზე. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ლენინი იბრძოდა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებისთვისაც ძვირფასი არ იყო ჩვენი ხალხის ისტორიული მონაპოვარნი, რომლებიც არ აფასებდნენ და არ იცავდნენ ამ მონაპოვართ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბრძოლაში, რომლებისთვისაც უცხო იყო დიდი სიამაყის გრძნობა იმისათვის, რომ ისინი ჩვენს ხალხს ეკუთვნიან.

თითქმის 30 წლის წინათ, 1914 წლის 12 დეკემბერს, ბოლშევიკურ გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ სტატიაში „ველიკოროსების ნაციონალური სიამაყის შესახებ“ ლენინი სწერდა: „განა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარებისათვის, უცხოა ნაციონალური სიამაყის გრძნობა? რასაკვირველია, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვიმუშაობთ იმისათვის, რომ მხი მშრომელი მასები (ე. ი. $^{9}/_{10}$ მისი მოსახლეობისა) ავიყვანოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგხვებულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე უფრო საწყენია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობის, ჩაგვრისა და აბუჩად აგდების განაცდევინებენ ჩვენს მშვენიერ სამშობლოს მეფის ჯალათები, თავადაზნაურები და კაპიტალისტები“ (ლენინი, ტომი 18, გვ. 81, რუს. გამოც.). ლენინი შემდეგ აღნიშნავდა, რომ ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ძალადობამ ყოველგვარი მჩაგვრელების მხრივ გამოიწვია წინააღმდეგობა ჩვენს წრეში, ველიკორუსების წრეში, რომ ამ წრიდ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი-რაზნოჩინცები, რომ ველიკორუსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შეჰქმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ველიკორუსმა გლეხმა იწყო დემოკრატად გახდომა, იწყო მჩაგვრელთა დამხობა.

და მართლაც, საკმარისია თვალი გადაავლოთ ჩვენი დიდი სამშობლოს ისტორიას, რომ ნათლად დაინახოთ, თუ რაში მდგომარეობენ ჩვენი ხალხის უამრავი მონაპოვარნი, რომლებმაც საყოველთაო პატივისცემა და უფლება დიდება მოუხვეჭეს მას. რატომ ვამაყობთ ჩვენ იმით, რომ რუს ხალხს ვეკუთვნით, რაშია ჩვენი ნაციონალური სიამაყე, სად არის ჩვენი მგზნებარე და უჭრობი პატრიოტიზმის წყარო? როგორ არ უნდა ვიამაყოთ იმ ხალხისადმი კუთვნილებით, რომელმაც თანამედროვე ცივილიზაციისა და ევროპის ხალხთა და სახელმწიფოთა კულტურული ცხოვრების განთიადზე შეჰქმნა მაგალითები თავისი სამშობლოს სახელოვანი დაცვისა, სახელმწიფოებრივი წყობილებისა, უნარისა—ისწავლოს სხვა ხალხებისაგან და მისცეს სხვა სახელმწიფოებს მოწინავე ისტორიული გამოცდილების ნიმუშები. როგორ არ ვიამაყოთ იმ ხალხისადმი კუთვნილებით, რომელმაც თავისი წრიდან წარმოშვა ისეთი ყოვლისმომცველი კლასიკური მოაზროვნენი პოლიტიკური მოღვაწეობის, მეცნიერების, ლიტერატურის დარგში, როგორიც არიან ლომონოსოვი, რადიშჩევი, დეკაბრისტები, პუშკინი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ტოლსტოი, სეჩენოვი, პლეხანოვი, პავლოვი, ტიმირიაზევი და მრავალ ასობით და ათასობით სხვა, ასევე ბრწყინვალე და დიდებული სახელი. როგორ არ ვიამაყოთ იმ ხალხისადმი კუთვნილებით, რომელმაც შესძლო რაღაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში დაემყარებინა უმჩაგვრელესი, ახალი საზოგადოებრივი წყობილება, მტკიცედ აეღო თავის ხელში მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს ისტორიული განვითარების ბედი და მოკლე ხანში შეესრულებინა ის სამუშაო, რომელსაც სხვა ხალხები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ახორციელებდნენ. როგორ არ ვიამაყოთ იმ ხალხისადმი კუთვნილებით, რომელმაც საახელმწიფოთა ცხოვრებაში პირველად შეჰქმნა საზოგადოების პოლიტიკური წყობილების ახალი ნიმუშები, სადაც მუშა, გლეხი და ინტელიგენტი არა თუ ჰქმნიან ყველა მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს, არამედ კიდეაც ჰფლობენ მას, სადაც ხელისუფლების სათავეში დგანან თვით მშრომელნი, სადაც მთელი სიმდიდრე და ხალხის საუკუნეობრივი მიღწევები თვით ხალხის განკარგულებაშია გადაცემული, სადაც უნივერსიტეტებისა და სკოლების კარები გახსნილია ყველასათვის, ვისაც სურს სრულჰყოს თავისი ცოდნა და დაეუფლოს თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს; სადაც მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა პირველად გახდნენ მთელი ხალხის კუთვნილება. როგორ არ უნდა ვიამაყოთ იმ ხალხის სიდიადით, რომელსაც განეთარებინა გზა წინასწარ დაუსახეს დიდმა ლენინმა და სტალინმა, ხალხისა, რომელმაც პირველმა არგუნა დამარცხება ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ყველაზე ძლიერ, ვერაგ, სასტიკ და მძლავრ მტერს—ჰიტლერულ გერმანიას და მის თანამონაწილეებს ევროპაში. გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა სწრაფი მარშით გაიარეს ევროპის თითქმის ათეული ხალხელმწიფო. მათ ტალახში ამოსვარეს ევროპის ხალხთა უმრავლესობის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და კულტურა; მათ მონობის უღელი დაადგეს ფრანგებს, ბელგიელებს, ნორვეგიელებს, დანიელებს, რუმინელებს, უნგრელებს, იუგოსლავებს, ბერძნებს, პოლონელებს, ჩეხებს, სლოვაკებსა და სხვა ხალხებს. მაგრამ ცდებს, რომ ჩაეხშოთ დიდი რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მათთვისაც დაედგათ ფაშისტური მონობის უღელი, ისეთი ძალის საპასუხო დარტყმით ვუპასუხეთ, რომელმაც აღაფრთოვანა ევროპელი ხალხები ჰიტლერიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და მოამზადა პირობები ჩვენი მომავალი გამარჯვებისათვის.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მებრძოლებს და მეთაურებს, საბჭოთა ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებს, ტექნიკოსებსა და ინჟინრებს, კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, მეცნიერთ, მსახიობებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, არქიტექტორებს ჩვენი სამშობლოსათვის ამ მრისხანე ომს შეგვეძლია ვიამაყოთ, რომ ვეკუთვნით დიდ ხალხს, დიდ სამშობლოს, რომლის ისტორიაც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი მსოფლიო ცივილიზაციისა და კულტურის ისტორიაში. ლენინი გვასწავლიდა ბოლომდე ვყოფილიყავით ჩვენი სამშობლოს პატრიოტები. ჩვენს დროში კი ნამდვილი პატრიოტობა, დიდი ლენინის მიმდევრობა, ჩვენი მასწავლებლის, ჩვენი საყვარელი ბელადის—ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით მუშაობა და ბრძოლა იმასაც ნიშნავს, რომ დაუღალავად ისწავლო ცხოვრებისაგან, შეუსვენებლივ ამუშაო სამშობლოს საკეთილდღეოდ მტრის შავბნელ ძალებზე ჩვენი ხალხის გასამარჯვებლად.

როცა სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა სახელმწიფოს მდგომარეობა დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა, ლენინი, მიმართავდა რა ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს, ამბობდა, რომ ჩვენ მოგვეპოვება მასალა და ბუნებრივი სიმდიდრენი ადამიანთა ძალების მარაგშიც და საუცხოო გაქანებაშიც, რომელიც დიდმა რევოლუციამ მისცა ხალხურ შემოქმედებას, რათა არა თუ შევქმნათ, არამედ აგრეთვე დავიცვათ ნამდვილად ძლიერი და ბარაქიანი რუსეთი. ამისათვის სჯჭიროა,—ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე, — უკუვაგდოთ ყოველგვარი სასოწარკვეთილება და ყოველგვარი ფრაზა, თავი მოვუყაროთ მთელ ჩვენს ძალებს, დავძაბოთ თითოეული ნერვი, დავჭიმოთ თითოეული კუნთი, დამარცხებათაგან სულიერად არ დავეცეთ და გავწიოთ წინ, ქვა-ქვაზე ვაგროვოთ და ასე ავაგოთ სოციალისტური საზოგადოების მკვიდრი საძირკველი, დაუღალავად ვიმუშაოთ დისციპლინისა და თვითდისციპლინის შექმნისათვის, ყველგან და ყოველ ადგილას ორგანიზებულობის, წესრიგის, საქმიანობის, საყოველთაო-სახალხო ძალების მწყობრი თანამშრომლობის, პროდუქტთა წარმოების და განაწილების საყოველთაო აღრიცხვისა და კონტროლის განმტკიცებისათვის—ასეთია სამხედრო ძლიერებისა და სოციალისტური ძლიერების შექმნის გზა.

ჩვენი სამშობლოს ნამდვილი პატრიოტობა იმას ნიშნავს, რომ განუხრელად შეასრულო ლენინის ეს დიადი ანდერძი, მისდიო მას ყოველთვის და ყველაფერში, ცხოვრებისა და ბრძოლის რა უბანზედაც უნდა იყოს დაყენებული ყოველი მოქალაქე—არის ის წითელი არმიის მებრძოლი თუ მეთაური, მუშა, კოლმეურნე თუ გონებრივი შრომის ადამიანი. ამხანაგი სტალინი მოითხოვს ჩვენგან სწორედ ისეთ პატრიოტიზმს, ისეთ ერთგულებასა და სიყვარულს ჩვენი სამშობლოსადმი, რომლებიც ყოველდღიურად განმტკიცებენ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას, ყოველდღიურად გაადიდებენ სამხედრო, ეკონომიურ და კულტურულ ძალებს, რომლითაც სამუალებითაც ჩვენ დავიცავთ ჩვენს სამშობლოს და გადამწყვეტ დამარცხებას ვაგემებთ მტერს.

მაშ ღირსნი ვიყოთ ჩვენი დიდი სახელოვანი სამშობლოსი! მაშ განუხრელად მივბაძოთ ჩვენს ბელადებს ლენინსა და სტალინს ჩვენს საქმიანობაში, რომელიც მიმართულია მტრებისაგან ჩვენი სახელმწიფოს დაცვისაკენ. მაშინ ჩვენი ხალხისათვის არც ერთი მოწინააღმდეგე, არც ერთი მტერი არ იქნება საშიში, რაც უნდა სასტიკი და გულღვარძლიანი იყოს მისი მოძალება ჩვენს სამშობლოზე. მაშ ბოლომდე შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა, ჩვენი ვალი სამშობლოს წინაშე, ულმობლად ვანადგურეროთ მტრის ურდოები და გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი საზიზღარი ოკუპანტებისაგან. დაუღალავად ვიმუშაოთ იმისათვის, რომ მივცეთ ჩვენს გმირ არმიას ყოველივე, რაც კი საჭიროა გამარჯვებისათვის. კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ ჩვენი რიგები ლენინისა და სტალინის დიადი პარტიის გარშემო და ჩვენი პარტიის დროშის ქვეშ მოვიპოვოთ გამარჯვება მტერზე.

მოკავშირეთა ჯარების ფრონტის ხაზი ჭუნისში

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ტუნისიდან მიღებული უკანასკნელი ცნობები საშუალებას იძლევა, რამდენადმე უფრო ზუსტად გამოვარკვიოთ ფრონტის ხაზი ტუნისში. ინგლისელების, ამერიკელებისა და ფრანგების ჯარები ამჟამად, როგორც სჩანს, ინარჩუნებენ პოზიციებს, რომლებიც განლაგებულია დაახლოებით 130 მილის სიგრძის ხაზზე, რომელიც გადის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, დაახლოებით 40-50 მილზე ტუნისის აღმოსავლეთ სანაპიროს პარალელურად. ალეირის საზღვრიდან ბიზერტამდე გამყოფი ხაზი მოკავშირეთა პოზიციებსა და მტრის ზონას შუა მიდის ტუნისის ჩრდილოეთ სანაპიროდან და შუაზე სჭრის რკინიგზის მაგისტრალს დაახლოებით 15 მილზე მატერის დასავლეთით. ამნაირად, მტერი კიდევ ინარჩუნებს მთიანი რაიონის რამდენიმე კვადრატულ მილს, რომელიც იკავს აღმოსავლეთის ვაკისაკენ გასავალს. შემდეგ ფრონტის ხაზი მიდის სამხრეთით ჰაილუსზე და მეჯეზ-ელბაბს რამდენიმე მილით უხვევს ამ პუნქტის აღმოსავლეთით. შემდეგ იგი უხვევს პირდაპირ სამხრეთისაკენ გუბელატამდე და დებაუ-არადამდე რკინიგზის ხაზით, რომელიც ტერიტორიის შიგნით მიემართება ტუნისის სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ამის შემდეგ ფრონტის ხაზი კვლავ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უხვევს.

ცნობებში მოხსენებული შემდეგი პუნქტი არის კლდეკარი კარაჩუმთან, რომლის დაპყრობაზეც ფრანგთა ჯარების მიერ 12 იანვარს იუწყებოდნენ. ეს კლდეკარი მდებარეობს 28 მილზე კაირუანის ჩრდილო-დასავლეთით და დაახლოებით 35 მილზე ტუნისის აღმოსავლეთ სანაპიროდან. აქ ხაზი კვლავ რამდენადმე დასავლეთისაკენ იხრება, ვინაიდან შემდეგი პუნქტი ფრანგულ სექტორში არის პიშონი, რომელიც 24 მილზე მდებარეობს კაირუანის დასავლეთით. შემდეგ ფრონტის ხაზი გადის რამდენიმე მილზე იმ რკინიგზის ხაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომელიც ფონდუკს უხვევს კაირუანიდან 20 მილზე და სფაქსიდან 70 მილზე ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

ფრანგთა ჯარების მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკა